



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორია

თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 999 144,

www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000091045282221

№ 02-102-R

26 / ოქტომბერი / 2021 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის შემადგენლობისა და მათი პასუხისმგებლობის სფეროების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 და მე-12 პუნქტების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და შესაბამისი დანართების მომზადების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1.1. რეზო კიკნაძე - პროგრამის ხელმძღვანელი, მონვეული მასწავლებელი, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი;

პასუხისმგებლობის სფეროები: თვითშეფასების პირველ და მეორე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენა, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების შემუშავება/დახვეწა, პროგრამის მიზნების თსკ მისიასთან შესაბამისობის აღწერა, პროგრამის სწავლის შედეგების მიზნებთან შესაბამისობის აღწერა; პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შეფასების, გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრებლად დაგეგმილი აქტივობების აღწერა. აგრეთვე, დასაქმების ბაზრის კვლევის განხორციელების კოორდინირება. სტუდენტთა მიღწევებისა და მათთან ინდივიდუალური მუშაობის აღწერა, პროგრამის განფასება.

1.2. აკადემიური და მონვეული პერსონალი:

1.2.1. მარინა ქავთარაძე - კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი, მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი;

1.2.2. მარიკა ნადარეიშვილი - კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის ასოც. პროფ., მუსიკის თეორიის მიმართულების ხელმძღვანელი, კვლევის დეპარტამენტის უფროსი;

1.2.3. მანანა ჟღენტი - მონვეული პერსონალი, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი, მუსიკის ტექნოლოგიის სტუდიის მენეჯერი;

1.2.4. თორნიკე ქარჩხაძე - მონვეული პერსონალი, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი;

1.2.5. ალექსანდრე ჭოხონელიძე - მონვეული პერსონალი, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი;

1.2.6. სოფიო სალარაძე - კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

პასუხისმგებლობის სფეროები: მონაწილეობა თვითშეფასების პირველ, მეორე და მესამე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენაში, პროგრამის მიზნების თსკ მისიასთან შესაბამისობის აღწერაში, პროგრამის სწავლის შედეგების მიზნებთან შესაბამისობის აღწერაში; პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შეფასებაში. აგრეთვე, მონაწილეობა გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრებლად დაგეგმილი აქტივობებისა და ბაზრის კვლევის განხორციელებაში.

1.3. მაია ვირსალაძე, კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი

პასუხისმგებლობის სფეროები: სტუდენტთათვის ინფორმაციის მიწოდების პროცესის აღწერა. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების აღწერა: სტუდენტთათვის ინფორმაციის მიწოდება სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციისა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერაზე. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებელი (მაგ: სამეცნიერო ნაშრომები, კონფერენციები, გამოფენები, პრაქტიკა და ა.შ.). საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების მითითებით.

1.4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები:

- 1.4.1. ნინო ბაქრაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- 1.4.2. თეა თათეშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- 1.4.3. ანა ჟორჯოლიანი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი;
- 1.4.4. ლიანა ხორბალაძე - კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი.

პასუხისმგებლობის სფეროები: ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებული კონსულტაციები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, მათ შორის პროგრამასა და სილაბუსებზე; თვითშეფასების ანგარიშის ჯგუფის ორგანიზება და კოორდინირება. მეხუთე სტანდარტით გათვალისწინებული მონაცემების შეგროვება/ ანალიზი. კერძოდ, პროგრამის შიდა და გარე შეფასების მექანიზმების აღწერა. შეფასების მექანიზმების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების აღწერა. სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრა, შეგროვება და ანალიზი (პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად).

1.5. სანდრო წიქრიძე - სტუდენტური თვითმართველობის თავმჯდომარე;

პასუხისმგებლობის სფეროები: მონაწილეობა მესამე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენაში და სტუდენტური სერვისების აღწერა.

1.6. ივერი კეკელიძე - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის წარმომადგენელი;

პასუხისმგებლობის სფეროები: მონაწილეობა მესამე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენაში. სტუდენტთა საერთაშორისო მოთხოვნებისა და საერთაშორისო პროექტებში სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებელი; პერსონალის საერთაშორისო მოთხოვნების მაჩვენებელი; საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მონოდება.

1.7. მაია ტაბლიაშვილი - სტუდენტთა მიღებისა და რეესტრის მართვის დეპარტამენტის უფროსი

პასუხისმგებლობის სფეროები: მონაწილეობა მესამე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენაში; რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება/დამუშავება. კერძოდ, ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა, მონაცემები პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირთა შესახებ, მონაცემები ჩარიცხულ პირთა შესახებ; აქტიური, შეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესისა სასწავლო წლების მიხედვით; მოთხოვნით გადასულ/გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობა;

1.8. სასწავლო დეპარტამენტის წარმომადგენლები

- 1.8. დავით ხავთასი - სასწავლო დეპარტამენტის უფროსი;
- 1.9. რუსუდან თაბაგარი - სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტი

პასუხისმგებლობის სფეროები: მონაწილეობა მესამე და მეოთხე სტანდარტთან შესაბამისობის დადგენაში; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის აღწერა, სტუდენტთა და პერსონალთა მომსახურების სერვისები. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებელი. სასწავლო პროცესის ორგანიზების აღწერა; ონლაინ სწავლების უზრუნველყოფის აღწერა.

1.9. მარიკა ნადარეიშვილი - კვლევის დეპარტამენტის უფროსი.

პასუხისმგებლობის სფეროები: პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლების (გამოქვეყნებული ნაშრომები, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა) შეგროვება და შეფასება; პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი რაოდენობრივი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში). აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული უსდ-ს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები; პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მოთხოვნების მაჩვენებელი და სხვა) შეფასება და პერსონალის პროფესიულ განვითარების პროცესში ამ შეფასების შედეგების გამოყენების შესახებ ინფორმაცია.

1.10. ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის წარმომადგენლები

- 1.10.1. ერეკლე რამიშვილი - ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- 1.10.2. გიორგი დოროყაშვილი - საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი.

პასუხისმგებლობის სფეროები: მონაწილეობა მე-4 სტანდარტის შესაბამისობის დადგენაში. საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის მაჩვენებლების აღწერა (უსდ-ს იმ ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური აღჭურვილობის აღწერა, რაც საჭიროა პროგრამის

განხორციელებისათვის) და შეფასება, შესაბამისი მტკიცებულებების მომზადება; გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობების აღწერა.

1.11. მაია მეტრეველი - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:


პასუხისმგებლობის სფეროები: მონაწილეობა მე-4 სტანდარტის შესაბამისობის დადგენაში, წიგნადი ფონდის აღწერა, სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის ბიბლიოთეკაში არსებობის დადასტურება.

1.12. თეა ტიგინაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

პასუხისმგებლობის სფეროები: პროგრამის აკადემიური და მონვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის, CV-ების შეგროვება; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობისა და მათი ფუნქციები და მოვალეობების აღწერა. აკადემიური და მონვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი. კონსერვატორიის ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პერსონალის შეფასების პროცესის აღწერა. პერსონალის პროფესიულ განვითარების პროცესში შეფასების შედეგების გამოყენების შესახებ ინფორმაცია.

- 2. ბრძანების გადაგზავნა სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის დაევალოს კონსერვატორიის კანცელარიას;
- 3. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
- 4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
- 5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N 6)

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია 
ელემენტრონულად

ნანა შარიქაძე